კვირა,
1962 წ.
№ 218 (2067)
გამოცემის [illegible]
ფასი 3 კაპ.

# „მარსი-1“

## საქდესის ცნობა

## 4 ნოემბერი

კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების კვლევის პროგრამის შესაბამისად 1962 წლის 1 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაშვებულ იქნა კოსმოსური რაკეტა პლანეტა მარსისაკენ.

ასეთი გაშვება პირველად განხორციელდა.

გაუმჯობესებული მატარებელი რაკეტის უკანასკნელმა საფეხურმა შუალედ ორბიტაზე გაიყვანა დედამიწის მძიმე ხელოვნური თანამგზავრი, საიდანაც გაუშვეს კოსმოსური რაკეტა პლანეტა მარსისაკენ მოძრაობის ტრაექტორიაზე.

კოსმოსურ რაკეტაზე დადგმულია ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგური „მარსი-1“, რომლის წონაა 893,5 კილოგრამი. ავტომატური სადგურის ფრენა პლანეტა მარსამდე 7 თვეზე მეტხანს გაგრძელდება.

ავტომატური სადგურის „მარსი-1“ გაშვების ძირითადი ამოცანებია:

— მოეწყოს კოსმოსური სივრცის ხანგრძლივი კვლევა პლანეტა მარსისაკენ ფრენის დროს:

— დამყარდეს საპლანეტთაშორისო კოსმოსური რადიოკავშირი;

— პლანეტა მარსის ფოტოსურათის გადაღება და მარსის ზედაპირის ფოტოსურათების გადმოცემა დედამიწაზე რადიოარხებით.

ტელემეტრიული საზომი და მეცნიერული აპარატურის ჩართვა ხდება ავტომატურად ფრენის პროგრამის შესაბამისად და დედამიწიდან რადიოკომანდის მიხედვით.

ავტომატური სადგურის ფრენისადმი თვალყურის დევნებას, მისი ტრაექტორიის პარამეტრების განსაზღვრას, მეცნიერული ინფორმაციის მიღებას დედამიწაზე ახორციელებენ სპეციალური საზომი კომპლექსით და შორი კოსმოსური რადიოკავშირის ცენტრი.

საკოორდინაციო - გამოსათვლელ ცენტრში შესრულებული საზომი ინფორმაციის დამუშავების წინასწარმა შედეგებმა ცხადჰყო, რომ ავტომატური სადგურის „მარსი-I“ მოძრაობა ხდება ტრაექტორიით, რომელიც ახლოა ნავარაუდევთან.

2 ნოემბერს, 10 საათზე მოსკოვის დროით სადგური 237 ათას კილომეტრ მანძილზე იქნება დედამიწისაგან დედამიწის ზედაპირის წერტილზე. რომლის კოორდინატებია დასავლეთის გრძედის 37 გრადუსი და ჩრდილოეთის განედის 48 გრადუსი.

ავტომატურ სადგურზე „მარსი-I“ დადგმული მთელი აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგურის „მარსი-I“ გაშვება კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების შესწავლის შემდგომი ეტაპია.

* * *

# მზია, რომელიც სხვებს არა ჰგავს

— ეროვნულ კოლორიტს თითქმის აუცილებლად ახსენებენ. „მზია ნინოშვილის ვარჯიში გამოირჩეოდა ქართული ეროვნული კოლორიტით“. ძნელია არ შევნიშნოთ: ის თვითონ რაღაც მეტისმეტად ქართველი ქალია. ნამდვილი ქართველი ქალი.

და მაინც, რაშია კოლორიტი? წვრილმანებში. არის ასეთი პაწია დეტალი თავისუფალ ვარჯიშში — მხრების გადაშლა, ნარნარი კი არა, არამედ მკვეთრი, სწრაფი და ამაყად აწეული, უკარება სახე. ასე მიცურავს, ალბათ, ცეკვის დროს მორჩილად თვალებდახრილი ტურფა კავკასიელი ქალი, ხოლო იქვე გვერდით ფრთებსავით გაშლილი ჩოხის სახელოებით ბორგავს ხანჯლიანი ვაჟკაცი, კიდევ უფრო ახლოს, კიდევ... და აი, ქალმა მზერა ტყორცნა — ვაი თითქოს ქარმა ალგავაო. არ მომიახლოვდე! მერე იგი ისევ ძირს ხრის წამწამებს, მიცურავს, თითქოს ემორჩილება.

ან კიდევ. — დახრილ თავთან მიტანილი ხელები. ისე კი არა, როგორც ლატინინას აქვს, როცა ხელი, მტევანი, ყოველი თითი იცინის. ისე კი არა, როგორც ასტახოვას აქვს თითქოს არყისხის ტოტებიაო, რომელიც მიწაზე კი არ ხარობს, არამედ მხოლოდ ზღაპარში. არა, ეს თავისებურია — ოდნავ მკვეთრი, სრულიად აუხსნელი მშვენებით სავსე. ძველებური ფრესკა. ერთდროულად მედიდურებაცაა და მორჩილებაც.

ღვირზე ის უკან იხრება, კიდევ, კიდევ, თავი კი უძრავადაა, თითქოს მასზე სათუთი და წკრიალა სურა დევს. შემდეგ მან თავი და მხრები აიქნია სურა უკვე წყაროზეა და მასში ყინულივით ცივი ნაკადი იღვრება. ყველაფერ ამაში სტილია, ის არ იღიმება — ესეც სტილია...

შესაძლოა მე ბევრი რამ დავუმატე. შესაძლოა, როცა ის კომბინაციას ადგენდა, ამოცანას სრულიად სხვა, წმინდაწყლის ტანვარჯიშულ პირობას უდებდა საფუძვლად. მაგრამ მე მაყურებელი ვარ, და, გესმით თუ არა, რომ ამაშია მთელი ამბავი. ეროვნული კოლორიტი — ესაა ზუსტი, საერთოდ, უველასათვის ერთნაირი სკოლის ჩუქურთმა. შესაძლოა მის სკოლას აქვს ნაკლოვანებანი; შესაძლოა ბევრი ნაკლოვანებაც. მაგრამ ეს ჩემზე მოქმედებს. მე მსიამოვნებს ცხარე ქართული საკმაზი. და ტრიბუნის მეზობლებთან ერთად გავკივი: „ცოტაა!“, როცა მსაჯები ტაბლოზე ციფრებს ანთებენ. ორიგინალურობას, სტილს, სუფთა წვრასთან ერთად უნდა ვითვალისწინებდეთ. ტანმოვარჯიშეები სხვადასხვაგვარნი, განსხვავებულნი უნდა იყვნენ.

მე ვკითხე: „მზია, საიდან გაქვთ თქვენ ეს? აი, ეს — მხრებით. იქნებ რომელიმე ცეკვიდან?“ ის შეიშმუშნა. „არა. ეს, იცით... საერთოდ ქართველი ქალები ასეა...“ და თავი გადაიქნია — რა შესანიშნავია! — ვერ ახსნი: ეს სისხლშია...

ინტერვიუ კი არ გამოვიდა. ქართული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მზია ნინოშვილს ასწავლიან პილოს და არა მისცეს ინტერვიუ.

ს. ტოკარევი,
(„სოვეტსკი სპორტი“).

მექსიკაში ახლახან დამთავრებულ მსოფლიო პირველობაზე თანამედროვე ხუთჭიდში დიდ წარმატებას მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა ედუარდ სდობნიკოვმა. მან პირველად მიიღო მონაწილეობა ასეთ დიდ შეჯიბრებაში და მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.

• • •

სურათზე: ე. სდობნიკოვი ცხენოსნურ კროსში შეჯიბრების დროს.
ფოტო ვ. ტუტოვისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 4 ნოემბრისათვის

### I-XII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 18 | 9 | 8 | 1 | 24—10 | 26 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 18 | 10 | 4 | 4 | 26—17 | 24 |
| „დინამო“ (თბილისი) | 18 | 8 | 7 | 3 | 24—17 | 23 |
| „დინამო“ (კიევი) | 18 | 7 | 7 | 4 | 32—23 | 21 |
| ცსკა | 18 | 7 | 7 | 4 | 19—14 | 21 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 18 | 7 | 5 | 6 | 20—26 | 19 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 18 | 6 | 6 | 6 | 28—21 | 18 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 18 | 6 | 6 | 6 | 20—20 | 18 |
| სკა (როსტოვი) | 18 | 3 | 8 | 7 | 19—28 | 14 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 18 | 4 | 4 | 10 | 26—29 | 12 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 18 | 1 | 9 | 8 | 15—34 | 11 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 18 | 2 | 5 | 11 | 14—28 | 9 |

### XIII-XXII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 16 | 6 | 7 | 3 | 20—16 | 19 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 16 | 8 | 2 | 6 | 26—17 | 18 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 16 | 6 | 6 | 4 | 20—14 | 18 |
| „ავანგარდი“ (ხარკოვი) | 16 | 6 | 5 | 5 | 15—17 | 17 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 16 | 6 | 4 | 6 | 19—16 | 16 |
| „ბელარუსი“ (მინსკი) | 16 | 5 | 6 | 5 | 17—14 | 16 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 16 | 6 | 4 | 6 | 14—15 | 16 |
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 16 | 5 | 4 | 7 | 18—22 | 14 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 16 | 3 | 7 | 6 | 8—13 | 13 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 16 | 4 | 5 | 7 | 15—28 | 13 |

# „ცისკარი“ აწესებს ჯილდოს

6 ნოემბერს, თბილისში შედგება მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თბილისისა და კიევის „დინამოს“ გუნდებს შორის.

ჟურნალმა „ცისკარმა“ დააწესა 2 ჯილდო იმ მცველისა და თავდამსხმელთათვის, რომლებიც ამ შეხვედრაში განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს. ჯილდოები გადაეცემათ თამაშის დამთავრებისთანავე.



### I-XII ადგილები

„მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — 0:0.

### XIII-XXII ადგილები

„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)-„დინამო“ (ლენინგრადი) — 1:0. „დაუგავა“ (რიგა)-„ბელარუსი“ (მინსკი) — 0:0. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 0:0.

# სსრკ-ინგლისი — 8 : 2

ევროპის უძლიერესი მოკრივეები ინტენსიურად მონაწილეობენ იმ საერთაშორისო შეჯიბრებებში, რომელიც გათვალისწინებულია კრივის ევროპული კავშირის კალენდრით.

სწორედ ასეთ ლონისძიებაში მონაწილეობისთვის გაემგზავრნენ საბჭოთა მოკრივეები ინგლისში. ლონდონში გაიმართა ჩვენი ქვეყნისა და ბრიტანეთის ეროვნული ნაკრები გუნდების პირველი შეხვედრა. გაიმარჯვეს საბჭოთა მოკრივეებმა — 8:2. მეორე მატჩს ჩვენი გუნდი გამართავს 5 ნოემბერს.

გლაზგოში ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და შოტლანდიის ნაკრები კოლექტივები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 6:4. ამის შემდეგ ზემოაღნიშნული გუნდები ხელახლა შეხვდნენ ერთმანეთს. გამარჯვება ამჯერადაც რუმინელთა მხარეს იყო 7:3.

# დამთავრდა გუნდური ჩემპიონატი

ბერეზნიკში დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში სპორტსაზოგადოებათა ნაკრებ გუნდებს შორის.

ფინალების დღეს — 23 ვაჟთა და ამდენივე ქალთა გუნდიდან ბრძოლას მხოლოდ ორ-ორი კოლექტივი შემორჩა. ქალთა გუნდებში წარმატებით დამთავრა ტურნირი „შრომითმა რეზერვებმა“, რომელმაც ადვილად (5:2) სძლია „ბურევესტნიკს“ და მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

ვაჟთა გუნდებში გამარჯვება მოიპოვა „ლოკომოტივმა“, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში მოუგო „ტრუდის“ ახალგაზრდულ კოლექტივს, საერთო ჩათვლაში პირველი გუნდური ადგილი დაისაკუთრეს „შრომითი რეზერვების“ მაგიდის ჩოგბურთელებმა. მეორე ადგილი დაიკავა „ტრუდმა“.

# 1962
# საბჭოთა კავშირის ჩემპიონები

## ზაურბეგ ბერიაშვილი

ავჭალის სკოლის ფიზკულტურის დარბაზში საშუალო ტანის სიმპათიური ჭაბუკი შევიდა. ფიზკულტურის მასწავლებელმა იგი შეამჩნია, მეგობრულად გაუღიმა და მოსწავლეები გააჩერა. შემდეგ ისინი ზურგით შეაბრუნა და ახლად მოსული სტუმრის პირისპირ დააყენა. რამდენიმე მოსწავლეს დაავიწყდა, რომ მწყობრში იდგნენ, ადგილს მოსწყდნენ ძახილით — ზაურბეგი მოვიდა, ჩვენი ზაურბეგი!

ამ საინტერესო ამბავში, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ მოხდა, არაფერია საკვირველი. მოსწავლეებმა თავისებური შეხვედრა მოუწყეს თავიანთ ყოფილ თანასკოლელს, ცნობილ ქართველ მოჭიდავეს ზაურბეგ ბერიაშვილს. და ვიდრე გაკვეთილის მაუწყებელი ზარის ხმა არ გაისმა, შეუნელებელი ინტერესით უგდებდნენ ყურს თავიანთ უფროს მეგობარს...

ყველაფერი კი ისე ჩვეულებრივად დაიწყო. კვირაობით ავჭალაში იმართებოდა სახელდახელო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ეს ასპარეზობა იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში გამარჯვებული მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში ფლობდა „ჩემპიონის“ სახელს. უკვე მომდევნო კვირადღეს კი ხელახლა უნდა დაემტკიცებინა თავისი მაღალი წოდება. და აი, ზაურბეგის მამა, ვანო ბერიაშვილი კვირიდან კვირამდე არ თმობდა ხოლმე ავჭალელ მოჭიდავეთა შორის უძლიერესის სახელს. დაამთავრებდა ჭიდაობას, მხარზე შეისვამდა პატარა ზაურბეგს და სახლამდე გზას წარსულში სახელმოხვეჭილი ფალავნების ბიოგრაფიების მოყოლით ამოკლებდა. ერთ დღეს კი, როცა იგი სახლისაკენ გაბრუნებას აპირებდა, ახლო-მახლო შვილი ველარ შენიშნა. იგი მოშორებით მოლზე ტოლ ამხანაგებთან გატაცებით ჭიდაობდა. როცა ვანო პატარების „საჭიდაო სარბიელს“ მიუახლოვდა, ტანმოსულმა ბიჭუნამ ელვისებური სარმით ზაურბეგი ზურგზე დასცა. მამას გაეღიმა, თვალცრემლიან შვილს ზურგი გადაუბერტყა და მხარზე შეისვა. ამ დღიდან მოყოლებული ვანო სისტემატურად უხსნიდა უღლბლო „დებიუტანტს“ ქართული ჭიდაობის წესებს და მისი მონდომება მოსწონდა. მალე კი ზაურბეგს მეგობრებში ტოლი აღარა ჰყავდა. მუყაითი ვარჯიშით მან პირველად მოკრძალებულ წარმატებას მიაღწია...

სწორედ ეს გულმოდგინება, შეუპოვრობა და სანიმუშო მიზანსწრაფვა, რომლებსაც ჯერ კიდევ მომავალი ჩემპიონის ბავშვობაში ჩაეყარა საფუძველი, შეიქმნა დიდ სპორტულ სარბიელზე ახალგაზრდა მოჭიდავის შესანიშნავ გამარჯვებათა მიზეზი.

— ასეთი კეთილსინდისიერი და მუყაითი მოწაფე თითქმის არა მყოლია, — მოგვითხრობს ზაურბეგის მწვრთნელი გიორგი როსტიაშვილი.

პირველი დიდი სიხარული თავის მწვრთნელს ზაურბეგმა ჯერ კიდევ 1958 წელს განაცდევინა. თითქმის ახალბედა ფალავანმა ტოლი არ დაუდო გამოცდილ ოსტატებს, მხოლოდ გარსევან ნებიერიძესთან დათმო გამარჯვება და ხარკოვის სტუდენტთა საკავშირო სპორტული თამაშების მეორე პრიზიორის წოდება მოიპოვა.

მომდევნო წელმა ახალი გამარჯვება ჩაწერა ზაურბეგ ბერიაშვილის სპორტულ ბიოგრაფიაში. მძაფრ და საინტერესო შერკინებებში მან ყველა თავის მეტოქეს აჯობა, მათ შორის საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს ლენინგრადელ ვლადიმერ ანდრეევს და „ბურევესტნიკის“ საკავშირო ასპარეზობაში გამარჯვებულის სახელი დაიმკვიდრა.

ვინ იცის, მას შემდეგ რამდენ ასპარეზობაში გაიმარჯვა ავჭალელმა სპორტსმენმა, რამდენი მეტოქის ბეჭებს აგრძნობინა საჭიდაო ხალიჩის სირბილე. მრავალრიცხოვანი ჯილდოები, სიგელები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ზაურბეგის საწერ მაგიდაში ინახება, მოგვითხრობენ მის შესანიშნავ გამარჯვებათა შესახებ.

ახალგაზრდა მოჭიდავისათვის ყველაზე სერიოზულ გამოცდას მაინც თავისუფალ ჭიდაობაში წლევანდელი საკავშირო პირველობა წარმოადგენდა, რომელიც ორჯონიკიძეში გაიმართა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეთა ისეთ ძლიერ შემადგენლობას, როგორიც მსუბუქ წონაში შეიკრიბა, არცერთ სხვა წონით კატეგორიაში არ მოუყრია თავი. თვითონ გასინჯეთ: აქ იყვნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — ალიბეკ ბესტაევი და ტოლიდოს მსოფლიო პირველობის მეორე პრიზიორი რობერტ ჯლამაძე, პერსპექტიული მოჭიდავე, ორჯონიკიძელი გუსოვი და მრავალი სხვა. ამ ფალავნებიდან თვითეულს შეეძლო დაპატრონებოდა ჩემპიონის სანუკვარ სახელს.

ქართველმა სპორტსმენმა შეჯიბრების სტარტზევე მოულოდნელად წმინდა დამარცხება განიცადა შედარებით სუსტ მეტოქესთან — ესტონელ კოხასთან. დიდი უპირატესობა, რომელსაც ზაურბეგი შეხვედრის ბოლო წუთამდე ფლობდა, მას არ აკმაყოფილებდა: იგი წმინდა გამარჯვებისაკენ ისწრაფვოდა და აი, ეს სწრაფვა უკანასკნელ წუთზე საბედისწერო მარცხით დასრულდა.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.).

## ს. ულიანოვის მსოფლიო რეკორდი

ალმა-ატაში გამართულ ყაზახეთის პირად-გუნდურ პირველობაზე ძალოსნობაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა სტუდენტმა სტეფანე ულიანოვმა. მან 116 კილოგრამი აჭიმა და 1 კგ-ით გააუმჯობესა მსოფლიოს ძველი რეკორდი მჩატე წონის ძალოსანთათვის, რომელიც უნგრელ იმრე ფიოლდის ეკუთვნოდა და დამყარებული იყო 1961 წელს. სამჭიდის ჯამში ს. ულიანოვმა 337,5 კილოგრამი აჩვენა.

## სპორტული საზოგადოებრიობა არ გვაპატიებს

ფსიქოლოგიური საძირკველი ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში უნდა აიგოს. ამ მხრივ მუშაობა აღზრდის პირველივე გაკვეთილებიდან უნდა დაიწყოს. სულ ახლახან შემოწმდა თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატი, სადაც გამოცდილი მწვრთნელები მუშაობენ. მოედანზე იყო 27 მომეცადინე და ერთი მწვრთნელი — პანდელოვი. ერთი მწვრთნელისათვის ძალზე ძნელია გაწვდეს ორ გაერთიანებულ გუნდს, მით უმეტეს, რომ მოედანი რემონტშია და მისი მხოლოდ ცალკეული ნაწილების გამოყენება შეიძლებოდა. აქ უნდა ყოფილიყო შექმნილი სწორედ 4-5 კაციანი ჯგუფები მწვრთნელთა ხელმძღვანელობით, მაგრამ მწვრთნელები არსად ჩანდნენ და 27 ბავშვი ერთმანეთს ეჯიბრებოდა სიგრძეზე ხტომაში. ერთი ხტებოდა და დანარჩენი 26 მოწყენილი სახით ელოდა თავის რიგს. რა გასაკვირია, რომ მომეცადინეები კმაყოფილებით შეხვდნენ გაკვეთილის დამთავრებას. შემდგომში მეცადინეობა გადატანილ იქნა „შრომითი რეზერვების“ ბაზაზე, სადაც აგრეთვე დავესწარით ერთ-ერთ გაკვეთილს. კეთილმოწყობილ მინდორზე. ამინდი შესანიშნავი იდგა.

მომეცადინეთა რაოდენობა კვლავ დიდი იყო—35-40 ბავშვი, მაგრამ მწვრთნელები კვლავ არ ჩანდნენ, ნორჩი ფეხბურთელები უხალისოდ გამოიყურებოდნენ, ვისაც როგორ მოეხალისებოდა, ისე ურტყამდა კარში. გააზრებული მუშაობა თამაშის ტექნიკის ელემენტების სრულყოფისათვის არ ჩანდა.

### ვისაუბროთ ჩვენი ფეხბურთის მომავალზე

ნამდვილად სამწუხაროა, რომ ძალითა და ენერგიით სავსე, უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე სამი მწვრთნელი — ა. ვარდიაშვილი, თ. კუბლაშვილი და ვ. პანდელოვი ასე უქმად ატარებენ დროს.

კიდევ ერთ, ამჯერად საჩვენებელ მეცადინეობას დავესწარით ინტერნატში. მინდორი ფეხბურთელთა ფერადი მაისურებით იყო აჭრელებული, 50-ზე მეტი ბავშვი ერთდროულად ამუშავებდა ბურთის მიღების ტექნიკის სხვადასხვა ილეთს. ხუთივე მწვრთნელი გაახალგაზრდავებულად გამოიყურებოდა და მინდორზეც თითქოს ყველაფერი ცოცხლობდა და ხარობდა. ასეთ დღეს ბავშვებს მინდვრიდან ძალითაც ვერ გაყრი, ისინი მზად არიან უსასრულოდ ითამაშონ. თუმცა ამ მეცადინეობასაც ჰქონდა გარკვეული ნაკლოვანებები, მაგრამ მას არ შეეძლო არ მოეტანა სარგებლობა.

ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ მწვრთნელმა თ. კუბლაშვილმა გვითხრა: „დღეს ჩვენ დიდი სიამოვნება მივიღეთ მეცადინეობისაგან“. მაგრამ ეს იყო ზეიმი, რომელიც, ისევე როგორც სხვა დღესასწაულები, მალე გადის და მის ადგილს ჩვეულებრივი დღეები იკავებენ.

მართლაც კომისია წავიდა და ყველაფერი ძველებურ ყაიდას დაუბრუნდა. შეიძლება საჭირო არ იყო ყოველივე ამის აღწერა, მაგრამ, გვერწმუნეთ, ჩვენც ის გვინდა, რომ მეცადინეობისას სიხარული და ღიმილი მეტი იყოს, გვინდა მწვრთნელებსაც და მათ აღსაზრდელებსაც ყოველდღე ჰქონდეთ ზეიმი.

სადაა გამოსავალი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. ამ საკითხის გადაწყვეტა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციისათვის, ცენტრალური და მოკავშირე რესპუბლიკათა სპორტკავშირებისათვის. იმედია, ჩვენი ფედერაცია მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ საქმეს.

ჩვენ კი შემდეგი გვინდა შემოგთავაზოთ:

ა) გადაისინჯოს ბავშვთა საფეხბურთო სკოლების მწვრთნელთა შემადგენლობა და უპირატესობა მიეცეს მათ, ვინც ბავშვებთან მუშაობის ცეცხლით ანთია, უყვარს თავისი საქმე და იმაღლებს ცოდნის დონეს. არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ დიპლომისა და წოდების ანგარიშგაწევით. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მარტოოდენ ამით, შორს ვერ წახვალ. თანაც, დიპლომიანი და ტიტულიანი მწვრთნელები ხშირად შეთავსებითი სამუშაოებით არიან გატაცებული, რასაც დროა მოეღოს ბოლო.

ბ) თვითეულ მწვრთნელს უნდა ჰყავდეს ბავშვთა განსაზღვრული ჯგუფი და მიჰყვეს მას ბოლომდე. ჩვენთან ხშირია ბავშვთა ჯგუფების გადასვლა ხელიდან ხელში და მათს აღზრდაზე პერსონალურად არავინაა პასუხისმგებელი. ეს პრაქტიკა დაგმობილ უნდა იქნას.

გ) თბილისში ფიზკულტურის ორი ინსტიტუტია: ერთი კადრების მოსამზადებელი და მეორე — სამეცნიერო - საკვლევი. ერთიც და მეორეც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ბავშვთა ფეხბურთს. მათი განსაზღვრული შტატი ძირითადად ფიზიოლოგიის საკითხებითაა დაკავებული. ეს შეიძლება კარგიცაა, მაგრამ დაუშვებელია ისიც, რომ ჩვენი ფეხბურთის მომავალი რეზერვი სამეცნიერო-მეთოდური დახმარების გარეშე რჩებოდეს. ამ მიმართებით სერიოზული ნაბიჯი უნდა გადაიდგას.

დ) საფეხბურთო სკოლების მუშაობის შეფასება არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ მათი გუნდების მიერ შეჯიბრებებში დაკავებული ადგილების მიხედვით. ეს ყოველთვის როდი გამოხატავს სკოლაში წარმოებული მუშაობის ჭეშმარიტ მდგომარეობას. უნდა სისტემატურად ვამოწმოთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, საჭიროა მოეწყოს სასწავლო მეცადინეობათა ფართო დათვალიერება, ამ მიზნით მოწყობილ სპეციალურ გამოსვლებსა და შეჯიბრებებზე საფეხბურთო სკოლების მუშაობის საბოლოო შეფასებისათვის საჭიროა როგორმე გაერთიანდეს ორივე მაჩვენებელი, უნდა ხდებოდეს მოწინავე მწვრთნელების წახალისება.

ე) იმის გამო, რომ ზოგიერთ მწვრთნელს ზედმეტად მიაჩნია საკუთარი ცოდნის გაღრმავება, აუცილებელია დაწესდეს მათთვის სავალდებულო თეორიული და პრაქტიკული ნორმების ჩათვლა. ამასთან მათვე უნდა დავავალოთ ბავშვთა ფეხბურთთან დაკავშირებული განსაზღვრული თემების მომზადება. ინსტიტუტებში ეს თემები ექსპერიმენტული ხასიათისა იქნება, რადგან აღსაზრდელები მთელი სწავლების მანძილზე დაკვირვების ქვეშ იქნებიან.

თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უნდა შეცვალოს თავისი დამოკიდებულება ფეხბურთელთა კადრების მომზადებისადმი. თვითდაჯერება იმით, რომ ჩვენი დინამოელები ამჯერად კარგად გამოიყურებიან, არ შეიძლება. თუ არ აღიზარდა რეზერვები, მომავალ წარმატებებზე ფიქრიც ზედმეტია. ჩავარდნას კი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა არ გვაპატიებს.

**ა. გალპერინი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატ**
**დ. ცომაია,**
**საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

**სურათზე:** ფეხბურთის ჯგუფების მეცადინეობა მე-2 სკოლა-ინტერნატში.

---

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „ლელო“ № 216, 217.

ცხაკაიას რკინიგზის სკოლა ინტერნატში ნაყოფიერად მუშაობს ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც რაიონში ხშირად იღებს საპრიზო ადგილებს (მწვრთნელი ი. წირღვავა).

**სურათზე:** ინტერნატის აღსაზრდელები გ. დავითაია, რ. კობახიძე და ტ. კვირკველია წვრთნის დროს.

ფოტო გ. ჭაუელისა.

# ასპარეზენ მძლეოსნები



## გორი

გორში გაიმართა ზონალური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების გუნდებისათვის. დებულების თანახმად ყოველ რაიონს უნდა გამოეყვანა 10-10 მონაწილე, ამასთან ჩათვლაში შედიოდა მინიმუმი III თანრიგის შედეგი, მაგრამ უკვე შეჯიბრების დაწყებამდე გამოვლინდა ხარვეზები. შეჯიბრებაში მონაწილე 17 რაიონიდან სრულად დაკომპლექტებული გუნდის გამოყვანა შეძლო მხოლოდ თელავმა. ამის გამო 170 სპორტსმენის ნაცვლად სპარტაკიადაში მონაწილეობდა მხოლოდ 128 მონაწილე.

შეჯიბრების მსვლელობამ ცხადყო ისიც, რომ არცერთ რაიონში არ ზრუნავენ ტექნიკურად ისეთი რთული სახეობების განვითარებისათვის, როგორიცაა თარჯრბენი 80 და 110 მეტრზე, ქალთა შუბის ტყორცნა. ამ სახეობებში პირველობა არ გათამაშებულა მონაწილეთა გამოუცხადებლობის გამო.

მთელი რიგი გუნდები აშკარად მოუმზადებელი გამოცხადდნენ შეჯიბრებაზე. გორის, სიღნაღის, ბოლნისის, დმანისის, ახალქალაქისა და კასპის სპორტსმენებიდან ვერც ერთმა ვერ მისცა ჩათვლა თავის კოლექტივს.

შეჯიბრების შედეგებზე უარყოფითი გავლენა იქონია გორის სტადიონის მოუმზადებლობამაც. მართალია პედინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა გ. ანიკაშვილმა ადგილობრივ მსაჯებთან ერთად სტადიონის დირექციას საგრძნობი დახმარება გაუწია ბილიკების და სექტორების წესრიგში მოსაყვანად, მაგრამ ყველაფერი მაინც არ იყო წესრიგში, შეჯიბრების დღეებში არავინ ზრუნავდა მაყურებელთა შორის წესრიგის დამყარებაზე.

ასე იყო, თუ ისე, შეჯიბრება ჩატარდა. საერთო გუნდურ პირველ ადგილზე გამოვიდნენ ახმეტის რაიონის მძლეოსნები, რომლებმაც საგრძნობლად გაუსწრეს მომდევნო პრიზიორებს — დუშეთისა და სამგორის რაიონის კოლექტივებს.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, შეჯიბრებაზე გამოვლინდა რამდენიმე კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენი. ეს განსაკუთრებით ითქმის დუშეთის, ახმეტის, სამგორის, თელავის, ხაშურისა და ბორჯომის მძლეოსნებზე.

**გ. მიქაბერიძე,**

**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

---

## ცხინვალი

სამხრეთ-ოსეთის მოსწავლეთა პირად პირველობაზე მძლეოსნობაში, რომელიც ცხინვალში ორ დღეს გრძელდებოდა, გამარჯვებისათვის ძირითადად მხოლოდ ქალაქ ცხინვალის წარმომადგენლები იბრძოდნენ, რადგან რამდენიმე სპორტსმენით იყო წარმოდგენილი ჯავის, ზნაურისა და ცხინვალის რაიონები, ლენინგორელებმა კი რატომღაც არ ისურვეს თუნდაც ერთი სპორტსმენის მოვლინება.

100 და 200 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის ფინიშთან პირველი მივიდა ს. აბაევი. მას მცირედ ჩამორჩა თ. აბაშიძე (ორივე მესამე სკოლიდან). ცხინვალის მე-6 სკოლის მოსწავლე ბ. მელენჩუკმა პირველი ადგილი მოიპოვა გოგონათა 100, 200, 400 მ რბენაში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში.

ვაჟთა შორის 400-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვება წილად ხვდა ე. მაისურაძეს (II სკოლა), 800 მეტრზე — ი. ბრაჟნიკოვს (III სკოლა). II სკოლის მოსწავლეები ა. ჯიკაევი და ლ. ფუხაევი ჩემპიონები გახდნენ სიგრძეზე, სიმაღლესა და სამხტომში. ხოლო მათმა თანაგუნდელმა ა. ოსტაევმა არავის დაუთმო პირველობა ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში.

წარმატებით გამოვიდა III საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ვ. ნანიევა, რომელმაც შუბი ტყორცნა 35.86 მეტრზე და 2.12-ით გააუმჯობესა თავისივე საოლქო რეკორდი.

**ვ. მელქოევი**

---

## გაგრა

აფხაზეთის მორიგი პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში გაიმართა გაგრაში. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ქალაქ სოხუმისა და რაიონების გუნდები.

100-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვებულები გამოვიდნენ ქალთა შორის — ნ. სოლოვიევა, ვაჟთა შორის — ა. ივაშჩენკო (ორივე სოხუმიდან), რომლებმაც შესაბამისად აჩვენეს 12,2 და 10,6 წამი. სოლოვიევა უძლიერესი იყო სიგრძეზე ხტომასა და 80 მეტრზე თარჯრბენშიც.

ქალთა სიმაღლეზე ხტომაში სოხუმელებმა თ. ადეიშვილმა და მ. კრაინიუკოვამ აჩვენეს ერთნაირი შედეგი — 145 სმ. ვაჟთა შორის ასევე ერთნაირი მაჩვენებლები — 180 სმ აღმოაჩნდათ ოჩამჩირელ ა. ბარგანჯიანსა და სოხუმელ ვ. კაზანბანს.

გაგრელმა, 16 წლის კ. ნოვიკოვმა უკან ჩამოიტოვა მასზე გამოცდილი სპორტსმენები და ორი გამარჯვება მოიპოვა ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში. 400 და 1.500 მეტრზე რბენაში ფინიშზე პირველი იყო ვ. ივანოვი (გაგრა), მისი მაჩვენებლებია: 52,4 და 4.15,7 შესაბამისად. ქალთა შორის 400 მეტრზე რბენაში გამარჯვებული გამოვიდა მისი თანაგუნდელი გ. კოსტიუკი, შუბის ტყორცნაში ქალებიდან ყველაზე კარგი შედეგი აღმოაჩნდა ტ. მალახოვას (გაგრა), ვაჟთა შორის — ვ. კაზანბას (სოხუმი). მისი შუბი დაეცა 68 მ 57 სმ-ზე. ესტაფეტა 4×100 მეტრზე მოიგეს სოხუმის ქალთა და გაგრის ვაჟთა გუნდებმა.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: სოხუმი, გაგრა, გუდაუთა.

• • •

**სურათებზე: (მარცხნივ) — სპორტის ოსტატი ი. წულუკიძე ტყორცნის შუბს. (შუაში) — ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული თ. ადეიშვილი შეჯიბრების დროს. (მარჯვნივ) — 1.500 მეტრიან დისტანციაზე.**

ფოტო და ტექსტი ვ. ხემიონოვისა.

---

## 22 გუნდის მონაწილეობით

წელს იწყება და მომავალი წლის 6 აპრილს პარიზში დამთავრდება ევროპის ჩემპიონთა თასის მეხუთე გათამაშება ხელბურთში. წინა შეჯიბრებისაგან განსხვავებით ამჯერად თასისათვის ბრძოლაში გუნდების ყველაზე დიდი რაოდენობა (22 ქვეყნის ჩემპიონი) იღებს მონაწილეობას. მათ შორის, როგორც ცნობილია, წარმოდგენილი იქნება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — თბილისის „ბურევესტნიკი".

შესარჩევი მატჩების განრიგით ერთმანეთს ხვდებიან შემდეგი წყვილები: „ორხუსი" (დანია)-„ფელადიოფრამი (ისლანდია), „სპარტაკუსი" (ბუდაპეშტი)-„ვატ ატსგერდორფი" (ავსტრია), „ოპერატე-55" (ამსტერდამი)-„გრასჰოპერსი" (ციურიხი), „ტვ ჰას ვინტერბეკი" (კილი, გფრ)-„შლენსკი" (ვროცლავი, პოლონეთი), „ბასკეტი" (დიუდელანჟი, ლუქსემბურგი)-„ოხ ფლემალონსი" (ბელგია), „ატლეტიკო" (მადრიდი)-„სპორტინგ ლისაბონი" (პორტუგალია). მერვედფინალიდან ბრძოლაში ჩაებმებიან: „არსენალი" (ჰელსინკი), „კლუბ ჰეიმი" (გეტებორგი, შვეცია), დნფკ (ლაიპციგი, გდრ), „ბურევესტნიკი" (თბილისი), „დინამო" (ბუქარესტი), „რუკომეტნი კლუბი" (ზაგრები, იუგოსლავია), „დუკლა" (პრაღა), თასის სამგზის მფლობელი „ფა გეტინგენი" (გფრ), „საუნივერსიტეტო კლუბი" (პარიზი), „ფრედესბერგი" (ნორვეგია) და აგრეთვე შესარჩევ მატჩებში გამარჯვებული კოლექტივები.

კენჭისყრის შედეგად უკვე ცნობილია, რომ თბილისის „ბურევესტნიკი" ლაიპციგში 12 დეკემბერს შეხვდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს.

---

## ფეხბურთის მიმოხილვა



შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში პირველი ფინალური ჯგუფის გუნდებს შორის.

**ზუგდიდის** „ოდიში" საკუთარ მინდორზე თამაშობდა თბილისის „სინათლესთან". ორივე გუნდი ახლოს დგას ლიდერებთან, ამიტომ მატჩის შედეგს მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დასაწყისში ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ თბილისელები საჯარიმო მოედნამდე ახერხებდნენ მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიებას. პირველი ბურთი გატანილ იქნა სტუმართა მიერ, მაგრამ ტაიმის დასასრულამდე 3 წუთით ადრე „ოდიშმა" შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1. შესვენების შემდეგ ზუგდიდელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ეს იყო მათი უკანასკნელი წარმატება. თბილისელებმა გააძლიერეს იერიშები და საბოლოოდ მძიმე ბრძოლაში მიაღწიეს გამარჯვებას — 3:2.

**ცხაკაიას** „განთიადისა" და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა, რომელიც ცხაკაიაში შედგა, საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. მასპინძლებმა შეძლეს ერთადერთი ბურთის გატანა, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება — 1:0.

**მაყურებელთა** დიდი რაოდენობა დაესწრო მატჩს ლანჩხუთში ადგილობრივ „გურიასა" და მახარაძის „მერცხალს" შორის. უკვე მე-14 წუთზე სტუმართა კართან დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად იქნა რეალიზებული. „მერცხლის" ამ მარცხს მოყვა ის, რომ ერთ-ერთმა მცველმა არაზუსტად ითამაშა და საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი — 0:2. შემდგომში მახარაძელებს ჰქონდათ საპასუხო ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს პენალტი და მატჩის ბოლომდე კიდევ ერთი ბურთი მიიღეს საკუთარ კარში. ანგარიშით 3:0 დამსახურებულად გაიმარჯვა „გურიამ".

**გათამაშების** ერთ-ერთი ლიდერი — ქუთაისის „იმერეთი" თბილისში შეხვდა ადგილობრივ „ისანს". ქუთაისელთა თამაშმა ამჯერად ვერ დატოვა სახარბიელო შთაბეჭდილება: ისინი არაზუსტად აწვდიდნენ ბურთს ერთმანეთს და შეჯგუფებულად თამაშობდნენ ცენტრში. მაინც პირველ ტაიმში უპირატესობა მათს მხარეს იყო. შესვენების შემდეგ თბილისელებმა რამდენადმე გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის ბევრი კარგი შესაძლებლობა. „იმერეთი" სრული ძალით თამაშობდა მხოლოდ მატჩის დასასრულს და 88-ე წუთზე გაიტანა კიდეც ბურთი, რომელმაც მას მოუტანა მეტად საჭირო გამარჯვება — 1:0.

**ჩემპიონატის** ერთპიროვნული ლიდერი — „მეშახტე" (ტყიბული) თავის სტადიონზე თამაშობდა ქობულეთის „შუქურასთან". სტუმრებმა სწრაფი იერიშით დაიწყეს თამაში და პირველი ბურთიც გაიტანეს — 1:0. მართალია, „მეშახტემ" ეს გოლი მალე გაქვითა, მაგრამ უხეში თამაშისათვის მის კარში დანიშნულ იქნა პენალტი, რის შედეგადაც ქობულეთელები ისევ გავიდნენ წინ — 2:1. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და მატჩი მოიგო ქობულეთის „შუქურამ" — 3:2.

### გათამაშების ცხრილი

I-X ადგილები

მდგომარეობა 1 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეშახტე" ტყიბული | 11 | 6 | 3 | 2 | 19—10 | 15 |
| „გურია" ლანჩხუთი | 11 | 4 | 5 | 2 | 12—9 | 13 |
| „იმერეთი" ქუთაისი | 11 | 5 | 3 | 3 | 14—13 | 13 |
| „სინათლე" თბილისი | 11 | 5 | 2 | 4 | 21—13 | 12 |
| „შუქურა" ქობულეთი | 11 | 5 | 2 | 4 | 17—24 | 12 |
| „ოდიში" ზუგდიდი | 11 | 4 | 3 | 4 | 17—14 | 11 |
| „განთიადი" ცხაკაია | 11 | 4 | 3 | 4 | 13—12 | 11 |
| „მერცხალი" მახარაძე | 11 | 1 | 7 | 3 | 10—13 | 9 |
| „ისანი" თბილისი | 11 | 3 | 3 | 5 | 7—13 | 9 |
| სახ. სამ. ინსტ. თბილისი | 11 | 1 | 3 | 7 | 9—18 | 5 |

# 1962 საბჭოთა კავშირის ჩემპიონები

## ზაურბეგ ბერიაშვილი

(დასასრული)

ქართველ მოჭიდავეს, როგორც იტყვიან, უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. მომდევნო შეხვედრები მას წმინდა გამარჯვებით უნდა დაემთავრებინა. ზაურბეგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავად გადაწყვიტა ეს რთული ამოცანა. მისი პირველი „მსხვერპლი“ გახდა რობერტ ჯლამაძე. ამ შეხვედრამდე ისინი თანაბარი რაოდენობის საჯარიმო ქულებით მოვიდნენ. მათი ორთაბრძოლის შემდეგ ერთ-ერთს საბოლოოდ უნდა აელო ხელი ჩემპიონის ოქროს მედლისაგან. სწორედ ამიტომაც შეხვედრა თავიდანვე ორმხრივ იერიშებზე წარიმართა. პირველსავე წუთზე ზაურბეგ ბერიაშვილმა „აკადემიური“ სიზუსტით დასაჯა თავისი მეტოქის გაუფრთხილებლობა და იგი ჩოქბჯენში გადაიყვანა. შემდეგ იერიშზე უკვე რობერტ ჯლამაძე იმყოფებოდა. თავგამოდებით იბრძოდა გამარჯვებისათვის, მაგრამ ამაოდ. როცა ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი შეტევების ტალღამ გადაიარა, ზაურბეგმა დრო შეარჩია, ელვისებური სვლით რობერტი ხელახლა ჩოჭბჯენში გადაიყვანა და შემდეგ ბეჭებით გააკრა ხალიჩას. ეს მოხდა შეხვედრის მეოთხე წუთზე.

შემდეგ მან ასევე წმინდად მოუგო ალიბეკ ბესტაევს, გამარჯვებისაკენ მიმავალი გზიდან ჩამოიშორა დანარჩენი მეტოქენი და საბჭოთა კავშირის უძლიერესი ფალავნის სახელი მოიხვეჭა.

პირველი, რომელმაც ახალ ჩემპიონს გამარჯვება მიულოცა, იყო მისი საყვარელი მასწავლებელი გიორგი როსტიაშვილი. და მართლაც, ეს დიდი გამარჯვება იყო მწვრთნელისა და აღსაზრდელის მრავალწლიანი მუშაობის დამსახურებული ჯილდო.

შ. ჭიაბრიშვილი

* * *

**სურათზე:** საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ზ. ბერიაშვილი (მარცხნივ) სპორტის სასახლეში უყურებს თავის კოლეგების გამოსვლას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ფეხბურთის ახალი ამბები

### ინგლისელი ჟურნალისტი პასუხობს

ბელგრადის გაზეთ „ფუდბალის“ კორესპონდენტი ეწვია ცნობილ ინგლისელ სპორტულ მიმომხილველს ფ. ტეილორს და რამდენიმე კითხვა მისცა მას.

**კითხვა:** რატომაა ინგლისის ნაკრები უკანასკნელი წლების მანძილზე ასეთ ცუდ ფორმაში?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, მას თავისი ღრმა მიზეზები გააჩნია. სწორედ ამის გამოა, რომ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ გაათავისუფლა ნაკრების მთავარი მწვრთნელი უ. უინტერბოტომი და მთელს მსოფლიოში ეძებს მის შემცვლელს. რატომ თქვენმა რ. მიტიჩმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ თავისებურ საერთაშორისო კონკურსში? მით უმეტეს, რომ იუგოსლაველ სპეციალისტებზე ინგლისში მეტად მაღალი აზრისა არიან. თუ ინგლისის ფეხბურთში რეფორმები მოხდება, ნაკრების მდგომარეობაც მკვეთრად გამოსწორდება. ჩვენ დიდი იმედით ველით 1966 წელს. ამ ჩემპიონატში ინგლისის ნაკრებმა კარგ შედეგებს უნდა მიაღწიოს.

**კითხვა:** რას იტყვით „იპსვიჩის“ მიერ ინგლისის ჩემპიონობის მოპოვებაზე?

— ეს საოცარი კლუბი 3 წლის წინ მესამე ლიგაში თამაშობდა, 2 წლის წინ — მეორე ლიგაში, ხოლო უკანასკნელ სეზონში ინგლისის ჩემპიონი გახდა. ეს „რევოლუცია“ მოახდინა „იპსვიჩის“ მწვრთნელმა რამსეიმ. სხვა ინგლისელ მწვრთნელთაგან განსხვავებით, იგი ტაქტიკის საკითხებში მეტად პროგრესულ პოზიციებზე დგას. რამსეის მიერ შექმნილ ტაქტიკურ სისტემას „ისარი“ ეწოდება და დაახლოებით ასე გამოიხატება: 1-3-2-3-2. „იპსვიჩის“ თავდასხმის მთავარი ძალაა ორი წინწაწეული ცენტრფორვარდი, რომლებსაც კარგად უჭერენ მხარს „მეორე ეშელონში“ მყოფი თავდამსხმელები.

**კითხვა:** რატომ გამოდის წლევანდელ ჩემპიონატში ასე ცუდად „მანჩესტერ იუნაიტედი“?

— მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელ ხანებში „მანჩესტერ იუნაიტედი“ თავიდან იქნა შექმნილი. გუნდი საკმაოდ მომძლავრდა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა ჩემპიონობისათვის ბრძოლა. წელს „მანჩესტერ იუნაიტედი“ გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილებზეა. ამას თავისი მიზეზები აქვს: გუნდის მეკარე, მსოფლიოში განთქმული ჰ. გრეგი უკვე რამდენიმე თვეა არ თამაშობს. ჯერ ერთი, მას ტრავმა ჰქონდა და ამას გარდა მეუღლე გარდაეცვალა კიბოთი. უძლიერესმა ფორვარდმა ჩარლტონმა სერიოზული ტრავმა მიიღო და არ თამაშობს. გრეგისა და ჩარლტონის კლასის ფეხბურთელთა შეცვლა მეტად ძნელი საქმეა. გუნდი მარცხზე მარცხს განიცდის, თუმცა აქ თამაშობს განთქმული შოტლანდიელი ფეხბურთელი დ. ლო. სხვათა შორის, მწვრთნელი მ. ბასბი ფიქრობდა, იუგოსლავიიდან გადმოეყვანა შეკულარაცი, მაგრამ ამ უკანასკნელმა მორიგი მძიმე დანაშაული ჩაიდინა და ამჟამად თამაშის ნება არა აქვს.

### დარბაზის ჩივილი

◆

**თბილისის მე-18 საშუალო სკოლას კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი არ გააჩნია, ამიტომ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ტარდება შეუფერებელ შენობაში**

◆

რამდენი ცრემლი დავღვარე,
რამდენი სიტყვა აღვძარი,
ჩემი ცრემლჩამონადენით
ხომ ჩაქრებოდა ხანძარი.
სახელად მქვია დარბაზი,
სახელი კარგს რას მიპირებს?
ამიტომ ვწუხვარ და ბრაზით
ზევრჯერ ხმამაღლა ვიყვირე.
აქ იატაკი ზანზარებს
დაბალი არი ჭერია,
ბავშვი ხელს გაშლის, ხელებით
კედლები დაუჭერია.
ახლა ეწერ ამ ჩემ დარდებზე
ყველა ბევრი დამიწერია,
მიშველეთ, მხარი ამიბით
რომ გავიგრძელო დღენია.

ს. ლორთქიფანიძე

### ფინალი და 10000 დაჭრილი

1923 წელს ინგლისის თასის ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ „ბოლტომი“ და „ვესტჰემი“. ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე მოხვედრის მსურველთა რიცხვი 200000 აღემატებოდა, მაშინ, როცა სტადიონი 80000 იტევს. სტადიონის შესასვლელში დიდი აყალმაყალი ატყდა, რის შედეგადაც დაჭრილთა რიცხვმა 10000-ს მიაღწია.

◆

### საფრანგეთი-გფრ

შტუტგარტში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. მინდორზე გუნდები ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: საფრანგეთი — ლამია, ვენდლინგი, რომიკა, მარიანი, ლერონი, ფერიე, რობუში, ბონელი, გუჟონი, სტაკო, სოვაჟი; გფრ — ფაპრიანი, პოტი, შელინგერი, შულცი, ვილდენი, რეიში, ზეელერი, შეეცი, შტლერი, კონეცკი, შტოლცი.

თამაში გერმანელთა შეტევით დაიწყო. პირველი 20 წუთი ბურთი ფრანგების ნახევარს არ მოსცილებია. საპასუხო კონტრშეტევის დროს 25-ე წუთზე სტაკომ გვერდი აუარა წინ გამოსულ მეკარეს და გახსნა ანგარიში. ამ გოლის შემდეგ ინიციატივას ფრანგები დაეუფლნენ და 33-ე წუთზე გუჟონს მეორე ბურთი გააქვს.

მეორე ნახევარში გერმანელებმა შულცი შტეიმანით შეცვალეს, ხოლო კარში ბერნარი დადგა. ამან მათ წარმატება მოუტანა. ჯერ 46-ე წუთზე კონეცკიმ, ხოლო შემდეგ 83-ე წუთზე შულცმა ორი ბურთი გაიტანეს. შეხვედრა ფრედ — 2:2 დამთავრდა.

ყველა მიმომხილველი აღნიშნავს ნაკრებში დაბრუნებულ მეკარე ლამიას ბრწყინვალე თამაშს. ლამიას ნაკრებში არ უთამაშია ევროპის თასზე იუგოსლაველებთან ნახევარფინალური მატჩის 3:5 წაგების შემდეგ.

◆

უნგრეთის ნაკრების წევრის ლაიოშ ტიხის სახელი ფეხბურთის სამყაროსათვის საკმაოდ ცნობილია. მას არაერთხელ უსახელებია თავისი ქვეყნის ნაკრები ვირტუოზული თამაშითა და შედეგიანობით.

**სურათზე:** ლაიოშ ტიხი ვარჯიშის დროს.

◆

## ფეხბურთის ქრონიკა

**ევროპის** ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა შოტლანდიის „დანდი“, რომელმაც თავის მინდორზე ანგარიშით 4:1 დაამარცხა პორტუგალიის „სპორტინგი“. მართალია, პირველი წრის მატჩი ამ გუნდებს შორის მოგებული ჰქონდათ პორტუგალიელებს (1:0), მაგრამ ბურთების შეფარდებამ უპირატესობა მოუტანა „დანდის“.

**აღნიშნული** პრიზის მფლობელი „ბენფიკა“ (ლისაბონი) შვეციაში შეხვდა ამ ქვეყნის ჩემპიონს „ნორჩეპინგს“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

**მეტად** საინტერესო მატჩი შედგა ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში. ერთმანეთს შეხვდნენ „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ინგლისი) და „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია). მატჩი დამაჯერებელი ანგარიშით მოიგეს ინგლისელებმა — 5:2.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

„დინამოს“ სტადიონი

### ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი

„დინამო“ (თბილისი) —
„დინამო“ (კიევი)

5 ნოემბერს—დუბლშემადგენლობა.
დასაწყისი 15 ს. 30 წ.

6 ნოემბერს—ძირითადი შემადგენლობა.
დასაწყისი 15 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში დუბლშემადგენლობათა მატჩი გაიმართება სკა-ს სტადიონზე.

### 8 ნოემბერი

### ქალაქის გაზაფხულის ავტორბოლა

„სპარტაკის“ პირველობაზე
დასაწყისი 13 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01177